**ნორვეგიული მთავრობის დაფინანსებით ორგანიზებული თბილისი-ოსლოს საზაფხულო სკოლაში მონაწილეობის დასაფინანსებლად გამოყოფილი სტიპენდიების კანდიდატთა შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და შერჩევის წესი**

**1. კონკურსის მიზანი**

კონკურსის მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებს შორის ნორვეგიული მთავრობის დაფინანსებით ორგანიზებული თბილისი-ოსლოს საზაფხულო სკოლაში მონაწილეობისთვის გამოყოფილი სტიპენდიების კანდიდატების შერჩევა 2019 წლის ზაფხულისთვის.

**2. კანდიდატები და სტიპენდიატები**

კანდიდატები შეირჩევიან სტუდენტებს შორის, რომლებმაც განაცხადი გააკეთეს საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე (outgoingmobility@tsu.ge). სტიპენდიატებს შეარჩევს ნორვეგიული მხარე თსუ-ს შესარჩევი კომისიის მიერ მიწოდებული შეფასების საფუძველზე.

**3. კანდიდატების შერჩევა**

ა)კანდიდატების შერჩევა ხორციელდება თსუ-ს საკონკურსო კომისიასთან გასაუბრების გზით შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით

1. აკადემიური მოსწრების საერთო საშუალო ქულა (GPA)
2. მოტივაცია
3. ზეპირი პრეზენტაცია

**4. კომისიის შეფასება**

ა)აკადემიური მოსწრების საერთო საშუალო ქულა გამოითვლება სტუდენტის GPA-ის 10-ზე გამრავლებით; მაქსიმალური შესაძლო ქულა: 40 (4×10);

ბ)კომისია ახორციელებს კანდიდატის მოტივაციისა და ზეპირი პრეზენტაციის შეფასებას;

ბ)კანდიდატის მოტივაციისა და ზეპირი პრეზენტაციის შეფასება ხორციელდება არაუმეტეს 10 ქულით შემდეგი თანაფარდობით:

| | |
|---|---|
| ბრწყინვალე - | 10 ქულა |
| ძალიან კარგი - | 9 ქულა |
| კარგი - | 8 ქულა |
| დამაკმაყოფილებელი - | 7 ქულა |
| საკმარისი - | 6 ქულა |
| არადამაკმაყოფილებელი - | 5 ქულა და ნაკლები |

გ)შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებს ენიჭებათ დამატებით 1 ქულა.

**5. სტიპენდიატების გამოვლენა**

სტიპენდიატების გამოვლენა ხდება თსუ-ს შესარჩევი კომისიის შეფასებისა და ნორვეგიული მხარის საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველზე.